თანამშრომლობის მემორანდუმი

სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ

პრეამბულა

წინამდებარე მემორანდუმის მხარეები,

აღიარებენ რა სისხლის სამართლის სტატისტიკის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ქვეყანაში სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრისა და სწორად განხორციელების პროცესში,

მიზნად ისახავენ რა, შექმნან სისხლის სამართლის სტატისტიკის თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, სრულყოფილი სისტემა,

აღიარებენ რა, რომ სისხლის სამართლის სტატისტიკის სისტემის განვითარება განგრძობითი პროცესია,

სჯერათ რა, რომ სისხლის სამართლის სტატისტიკა უნდა იყოს ზუსტი, სარწმუნო და საჯარო,

ითვალისწინებენ რა სისხლის სამართლის სტატისტიკის სფეროში შეთანხმებული პრინციპებისა და ერთიანი მიდგომის აუცილებლობას,

თანხმდებიან წინამდებარე თანამშრომლობის მემორანდუმზე (შემდგომში „მემორანდუმი").

1. მემორანდუმის მიზანი

წინამდებარე მემორანდუმის მიზანია:

1.1 სისხლის სამართლის სტატისტიკის სფეროში უწყებათა შორის შეთანხმებული პრინციპებისა და სტანდარტების დადგენა;

1.2 სისხლის სამართლის ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის შემუშავებისა და გამოქვეყნების წესების ჩამოყალიბება.

2. მემორანდუმის შინაარსი

მემორანდუმის განუყოფელი ნაწილია მისი დანართი, რომელიც შედგება სისხლის სამართლის სტატისტიკის ზოგადი კონცეფციის, ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის

შემუშავებისა და გამოქვეყნების წესებისა და დანაშაულთა კლასიფიკაციის სტანდარტული სქემისაგან.

3. მხარეთა ვალდებულებები

წინამდებარე მემორანდუმითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

3.1. მხარეები (გარდა სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა)

- სისხლის სამართლის სტატისტიკის წარმოებისას იხელმძღვანელებენ მემორანდუმით გათვალისწინებული პრინციპებით;

- ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის გამოცემის წესის შესაბამისად უზრუნველყოფენ სტატისტიკური ანგარიშების მიწოდებას საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისათვის;

3.2 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

- სისხლის სამართლის სტატისტიკის წარმოებისას იხელმძღვანელებს მემორანდუმით გათვალისწინებული პრინციპებით;

- უზრუნველყოფს უწყებებიდან მიღებული სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებასა და ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის სახით გამოქვეყნებას.

4. მემორანდუმის მოქმედება და მისი ვადაზე ადრე შეწყვეტა

4.1 წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს უვადოდ;

4.2 წინამდებარე მემორანდუმი შესაძლებელია გაუქმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

5. ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

5.1 წინამდებარე მემორანდუმში შესაძლებელია ცვლილებებისა და დამატებების შეტანა მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

5.2 თუ წინამდებარე მემორანდუმის ნებისმიერი პირობა აღმოჩნდება გამოუყენებადი, ამ შემთხვევაში სხვა პირობები კვლავ ძალაში რჩება.

6. ასლები, მემორანდუმის ენა

წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი ძალის მქონე ხუთ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მემორანდუმი დადებულია 2010 წლის 30 აპრილს.

ხელმოწერილია:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელით

ხელისმომწერი: _____

ხელმოწერილია:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელით

ხელისმომწერი: _____

ხელმოწერილია: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სახელით

ხელისმომწერი: _____

ხელმოწერილია:

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სახელით

ხელისმომწერი: _____

ხელმოწერილია:

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სახელით

ხელისმომწერი: _____